საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 38

2012 წ. "14" 02

ქ. თბილისი

ზოგიერთი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის
ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და 32-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დანართში მითითებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუუქმდეთ ავტორიზაცია.
2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 14 თებერვლის №5 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
გაიანე სიმონია

- შპს - ქუთაისის კერძო სკოლა ახალი თაობა;
- შპს - ,,ილია'' - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება;
- სპს - საერო მრავალპროფილიანი მესამე საფეხურის სკოლა ლია ერქვანია;
- ა(ა)იპ - ინვალიდთა სოციალური დახმარების ფონდი ახალი სიცოცხლე;
- შპს - აია-ჯესი;
- შპს - პითაგორა-2009;
- შპს - ნანა;
- სპს - ბაგრატიონთა სახელობის კერძო სასწავლებელი სემე და - ლუკავა;
- შპს - უმაღლესი სამედიცინო სკოლა ,,აიეტი'';
- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- სპს - ფემიდა;
- შპს - თელავის ერეკლე მეფის სახელობის გიმნაზია;
- ა(ა)იპ - მხრუნველობას მოკლებულ ობოლ და ინვალიდ ბავშვთა სარეაბილიტაციო სასწავლო ცენტრი იმედი;
- შპს - არგო;
- შპს - მარი ბროსეს სკოლა;
- შპს - ცოდნა (212707962);
- შპს - სარკმელი.